საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/62

11 მარტი, 2019 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის", „მენეჯმენტისა" „ფინანსების" და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ამავე ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,2018 წლის ოქტომბერში აკრედიტირებულ „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის N01-06/20 დადგენილების, ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N141 გადაწყვეტილების, ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 თებერვლის N01-08/21 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 14 იანვრის N01-02/03 ბრძანების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნების და სტუდენტთა განცხადებების/თანხმობების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით (რიგგარეშე მობილობით) ჩაირიცხონ ბსუ-ს ამავე ფაკულტეტის „მარკეტინგის", „მენეჯმენტისა" „ფინანსების" და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები დანართი 1-ის შესაბამისად.

2. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის", „მენეჯმენტისა" „ფინანსების" და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებსაც ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული ჰქონდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 თებერვლის N01-08/21 ბრძანებით დადგენილ ვადებში წარმოდგენილი განცხადებით მოითხოვეს სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის გადავადება, მიეცეთ შესაძლებლობა მათზე რიცხული ფინანსური დავალიანება დაფარონ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად (თანაბრად გადანაწილდეს ამავე სემესტრში განსაზღვრული სწავლის საფასურის ეტაპობრივ გადასახდელად).

3. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარდგენილი იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. წინამდებარე ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს (დანართი 1-ის შესაბამისად) და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**